წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 12

ქ. წალკა; 31.10. 2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, დიანა პაქსაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ოქტომბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის საკრებულოს წევრობის ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულომ ღია კენჭისყრით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ოქტომბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

/მომხსენებელი: ჯემალ ბერიძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი;

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცნობად მიღება.

მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ოქტომბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

/მომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.11924305001 თან ერთვის);

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცნობად მიღება.

/მომხსენებელმა: ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის თანახმად საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უბლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა საკრებულომ ცნობად მიიღო.

სხდომის თავმჯდომარე **ი.გიგინეიშვილი**